2010 წ. 8 ივნისი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა მიერ ხმის მიცემის პროცესის მონიტორინგის ანგარიში

- **1 193 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან კონსტიტუციური უფლების რეალიზება – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება – მხოლოდ ერთმა შესძლო**
- **კენჭისყრის დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლები ამავე საპყრობილეებში აძლევდნენ ხმას**

2010 წლის 30 მაისს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დააკვირდა წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირთა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას. მონიტორინგი განხორციელდა ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს მონაცემებით, წინასწარ პატიმრობაში მყოფი ის პირები იმყოფებოდნენ, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ. სულ, საქართველოს მასშტაბით, ასეთი 5 დაწესებულება აღმოჩნდა. ესენია:

1. №5 საპყრობილე, თბილისი, ისნის საარჩევნო ოლქი.

2. №8 საპყრობილე, თბილისი, გლდანის საარჩევნო ოლქი.

3. №2 საპყრობილე, ქუთაისი.

4. №4 საპყრობილე, ზუგდიდი.

5. №3 საპყრობილე, ხელვაჩაური.

ოთხ დაწესებულებაში სპეციალური უბნები იყო გახსნილი (მათ შორის, გლდანის №8 საპყრობილეში ორი უბანი), ზუგდიდის საპყრობილეში კი გადასატანი ყუთით ხდებოდა ხმის მიცემა.

ამ დაწესებულებებში, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 2 688 ამომრჩეველს, მათგან 1 193 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირი იყო, ხოლო 1 495 -- ადმინისტრაციის თანამშრომლები (ძირითადი ნაწილი)[1], საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და №8

[1] აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მხოლოდ იმ თანამშრომელთა რაოდენობაა, რომლებიც ამ 5 დაწესებულებაში იყვნენ. ისე სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა რაოდენობა გაცილებით მეტია და ისინი სამუშაო ადგილის მიხედვით აძლევდნენ ხმას.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

საპყრობილის №113-ე უბანზე მიწერილი სამხედრო მოსამსახურეები[2].

საქართველოს კანონმდებლობით, წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები მონაწილეობენ როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ ისინი ადგილსამოყოფელს იცვლიან ერთი და იმავე ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე (თბილისში მერის არჩევის პროცედურები, „საქართველოს საარჩევნო კოდექსში" არ არის გაწერილი. შესაბამისად, ზოგადი წესიდან გამომდინარე, თბილისის მცხოვრებლები დედაქალაქში მერის და პროპორციული წესით არჩევნებში შეუზღუდავად მონაწილეობენ).

კენჭისყრის დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლები ხმას აძლევდნენ ამავე დაწესებულებებში. წინასწარ პატიმრობაში მყოფთაგან განსხვავებით, აღნიშნული დაწესებულებების თანამშრომლებს, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, შეზღუდვა არ აქვთ და ხმას აძლევენ როგორც მაჟორიტარულ, ისე პროპორციულ არჩევნებში, ხოლო თბილისში – მერის არჩევნებშიც.[3]

სულ 1 193 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 1-მა პატიმარმა, ხოლო დანარჩენი 1 495 ამომრჩევლიდან 1 010-მა[4] პირმა.

მთავარი დაბრკოლება, რომელმაც წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს არჩევნებში მონაწილეობაში ხელი შეუშალა, პირადობის მოწმობების არქონა იყო (როგორც ეს საპყრობილეების ადმინისტრაციებმა განაცხადეს). თუმცა ხელვაჩაურში, №3 საპყრობილეში საარჩევნო უბანი ისე დაიხურა, რომ **ციხის ადმინისტრაციას დამკვირვებლებისათვის არ განუმარტავს, თუ რატომ ვერ შესძლეს პატიმრებმა ხმის მიცემა.**

სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციების განმარტებით, მათ არ იცოდნენ რატომ არ ჰქონდა პატიმრების ნაწილს პირადობის დამადასტურებელი საბუთები, ხოლო

---

[2] კანონმდებლობის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეები ხმას აძლევენ დისლოკაციის ადგილის მიხედვით. ამ შემთხვევაში, მათი დისლოკაციის ადგილი მდებარეობდა მოცემული საარჩევნო უბნის მახლობლად, იმავე ოლქში. აქედან გამომდინარე, სამხედრო მოსამსახურეების მიწერა მოხდა №8 საპყრობილის საარჩევნო უბანზე.

[3] თუმცა, სასჯელაღსრულების სამინისტროს თანამშრომელთა არჩევნებში მონაწილეობის პირობები კანონმდებლობით პირდაპირ არ რეგულირდება. ზემოთ მითითებული პრაქტიკა ერთიანი სიის ფორმირების წესს ეყრდნობა („საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-5 მუხლის „დ" ქვეპუნქტი), რომლის მიხედვითაც, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს ის თანამშრომლები, რომელთა სამსახურის პირობები მოითხოვს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისგან განსახვავებულ მისამართზე, ამ მისამართის მიხედვით არიან შეყვანილები ერთიან სიაში და, შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობენ ისე, როგორც იმ ოლქის მაცხოვრებლები.

[4] მათ შორის, ზუგდიდის მე-5 საპყრობილის 105-მა თანამშრომელმა ხმა მისცა მათთვის გამოყოფილ ძირითად უბანზე (ზუგდიდის 67-ე ოლქის მე-9 უბანზე).

მეორე ნაწილის საბუთები მათ პირად საქმეებში ინახებოდა პროკურატურაში. ადმინისტრაციების თანამშრომლები იმასაც აცხადებდნენ, რომ ისინი არ იყვნენ ვალდებულები პატიმრები პირადობის მოწმობებით უზრუნველეყოთ.

მონაცემები დაწესებულებების მიხედვით

1. <u>№ 5 საპყრობილე, თბილისი, ისნის საარჩევნო ოლქი, №81 უბანი</u>

არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა <u>**237 ამომრჩეველს**</u>. კერძოდ: <u>**50 პატიმარს**</u>, <u>**176 საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომელს**</u> და **11 საუბნო** საარჩევნო კომისიის წევრს.

არც ერთ პატიმარს არ მიუცია ხმა, რადგან მათ, საპყრობილის ადმინისტრაციის განცხადებით, არ ჰქონდათ პირადობის მოწმობები.

სულ ხმა მისცა 169 ამომრჩეველმა. მ.შ. 11-მა კომისიის წევრმა.

მოცემულ უბანზე პატიმრებისათვის გამოყოფილი იყო გადასატანი ყუთი. თუმცა, ის არ გამოუყენებიათ.

2. <u>საპყრობილე №8, თბილისი, გლდანის საარჩევნო ოლქი, №113</u>

არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა <u>**996 ამომრჩეველს**</u>. კერძოდ: **487 პატიმარს**, **498 <u>საპყრობილის</u> ადმინისტრაციის თანამშრომელს** და **11 საუბნო** საარჩევნო კომისიის წევრს.

სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 452-მა ამომრჩეველმა, მათ შორის მხოლოდ **1-მა პატიმარმა**, რადგან, საპყრობილის ადმინისტრაციის განცხადებით, მხოლოდ მას ჰქონდა პირადობის მოწმობა.

არჩევნებში მონაწილეობა ასევე მიიღო დაახლოებით 120-130-მა სამხედრო მოსამსახურემ, რომლებიც დისლოცირებულნი იყვნენ იმავე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე.

ხმის მიცემის პროცესის დაწყებისას საარჩევნო კომისიამ არ იცოდა, რომ საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლებს საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, შეზღუდვა არ აქვთ და ხმას აძლევენ როგორც მაჟორიტარულ, ისე პროპორციულ არჩევნებში, ხოლო თბილისში – მერის არჩევნებშიც. შესაბამისად, კომისია ხმის მიცემის უფლებას არ აძლევდა იმ თანამშრომლებს, რომლებიც თბილისში არ იყვნენ რეგისტრირებული. თუმცა, მოგვიანებით, საოლქო საარჩევნო კომისიის ჩარევის შემდეგ, ყველა თანამშრომელს მიეცა არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

3. <u>№8 საპყრობილე, თბილისი, გლდანის საარჩევნო ოლქი, №114 უბანი</u>

არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა <u>**540 ამომრჩეველს.**</u> კერძოდ: <u>**531 პატიმარს**</u>, და <u>**9 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს**</u>.

საპყრობილის ადმინისტრაციის განცხადებით, პატიმრებს არ ჰქონდათ პირადობის მოწმობები. შესაბამისად, პატიმრებმა არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღეს. სულ ხმა მისცა 9 ამომრჩეველმა.

4. №2 საპყრობილე, ქუთაისი; №128 უბანი

არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა **423 ამომრჩეველს**. კერძოდ: **32 პატიმარს**, **380 საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომელს** და **11 საუბნო** საარჩევნო კომისიის წევრს.

საპყრობილის ადმინისტრაციის განცხადებით ამ უბანზე მხოლოდ **2 პატიმარს ჰქონდა პირადობის მოწმობა, მაგრამ მათ უარი განაცხადეს ხმის მიცემაზე.** სხვა პატიმრებმა პირადობის მოწმობების უქონლობის გამო, ვერ მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში.

სულ ხმა მისცა 381-მა ამომრჩეველმა, მ.შ. 11-მა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა.

5. №4 საპყრობილე, ზუგდიდი (მიმაგრებული №9 უბანზე)

არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა **256 ამომრჩეველს**. კერძოდ: **62 პატიმარს** და **194 საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომელს**. აღნიშნულ დაწესებულებაში ცალკე უბანი არ გახსნილა. ადმინისტრაციის თანამშრომლები ხმას აძლევდნენ ახლოს მდებარე უბანზე, ხოლო პატიმრებთან უნდა მიეტანათ **გადასატანი ყუთი**.

საპყრობილის ადმინისტრაციის განცხადებით, პატიმრებიდან არავის ჰქონდა პირადობის მოწმობა. ამიტომ, პატიმრებმა ვერ შესძლეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. გარდა ამისა, საუბნო კომისიამ, რომელზეც ეს საპყრობილე იყო მიმაგრებული, წინასწარ პატიმრობაში მყოფთა სია პირადი ნომრების გარეშე მიიღო საოლქო საარჩევნო კომისიიდან[5]. პირადი ნომრების გარეშე შეუძლებელია ამომრჩევლების იდენტიფიკაცია, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ ეს არ გამხდარა ხმის მიცემის შემაფერხებელი ფაქტორი.

საპყრობილის ადმინისტრაციის 105-მა თანამშრომელმა მისცა ხმა მე-9 უბანზე.

6. №3 საპყრობილე, ხელვაჩაური, №69 უბანი

არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა **236 ამომრჩეველს**. კერძოდ: **31 პატიმარს, 198 საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომელს** და **7 კომისიის წევრს.**

არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ციხის 196-მა ადმინისტრაციის თანამშრომელმა და 7-მა კომისიის წევრმა. პატიმრებს ხმა არ მიუციათ. უბანი ისე დაიხურა, რომ **ციხის**

[5] საოლქო საარჩევნო კომისია, თავის მხრივ, არჩევნებამდე ექვსი დღით ადრე იღებს წინასაწრ პატიმრობაში მყოფთა სიას შესაბამისი სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელისგან.

ადმინისტრაციას დამკვირვებლებისათვის არ განუმარტავს, თუ რატომ არ მოიყვანეს პატიმრები ხმის მისაცემად.

გარდა ამისა, უბანზე გამოკრული არ იყო ხმის მიცემის ინსტრუქცია. ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" დამკვირვებლის მიერ საჩივრის დაწერის შემდეგ, ეს მასალა უბანზე გამოიკრა.

აღსანიშნავია, რომ ამ უბანზე ტარდებოდა მარკირება, თუმცა საარჩევნო კოდექსით წინასწარი დაკავების დაწესებულებებში გახსნილ უბნებზე მარკირება არ კეთდება.

ზოგადი პრობლემები

ჩვენი დაკვირვების შედეგად, შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა:

- წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს პრაქტიკულად არ მიეცათ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა და, ამრიგად -- თავიანთი კონსტიტუციური უფლების განხორციელების შესაძლებლობა.

- სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებს შეუზღუდავად ჰქონდათ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ისინი რეგისტრირებული მოცემულ საარჩევნო ოლქებში. ამრიგად, ისეთმა ამომრჩევლებმა მიიღეს ზოგიერთი ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს დაკომპლექტებაში მონაწილეობა, რომლებიც სხვა ოლქებში არიან რეგისტრირებული.

- გაუგებარია, თუ რა საჭიროებას წარმოადგენს სასჯელაღსრულების დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის ხმის მიცემის ორგანიზება სამუშაო ადგილზე და არა საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მიხედვით, როგორც ეს სხვა მოქალაქეებთან მიმართებაში ხდება. სპეციალური უბნების შედეგები, როგორც წესი, სახელისუფლებო პარტიისთვის გაცილებით უკეთესია, ვიდრე ჩვეულებრივი უბნების შედეგები. მაგალითისთვის, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წინასწარი დაკავების ადგილებში მიხეილ სააკაშვილმა ჯამში ხმების 92.2% მიიღო. დღეისათვის არსებული კანონმდებლობით აღნიშნული უბნების შედეგების ცალკე ნახვა შეუძლებელია – მათი შედეგები წინასწარ განსაზღვრულ სხვა საარჩევნო უბნის შედეგებს ერევა და ერთად ითვლება. თუმცა, ერთ-ერთი დამკვირვებლის მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ისნის №5 ოლქის №23 უბანზე ისნის №5 საპყრობილიდან შემოსული ბიულეტენები ცალკე დაითვალეს. აღმოჩნდა, რომ ხმების აბსოლუტური უმრავლესობა ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს ჰქონდათ მიღებული.

- აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ასეთ დახურულ უბნებში ამომრჩეველთა მარკირება არ ხორციელდება, ვინაიდან კანონი ამის ვალდებულებას არ აწესებს. ამრიგად, არ არის

გამორიცხული, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალმა განმეორებით მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა.

რეკომენდაციები

ზემოთ მითითებული პრობლემების დასაძლევად, საჭიროდ მიგვაჩნია კანონმდებლობაში შემდეგი ცვლილებები შევიდეს:

- შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს განესაზღვროთ ვალდებულება არჩევნების დღისათვის დაუბრუნონ წინასწარ დაკავებაში მყოფ პირებს ჩამორთმეული პირადობის მოწმობები.
- სასჯელაღსრულების დაწესებულებების იმ თანამშრომლებმა, რომლებიც მორიგეები არ არიან არჩევნების დღეს, ხმა მისცენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მიხედვით.
- სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებმა, რომლებიც არჩევნების დღეს მორიგეები არიან და სამუშაო ადგილზე აძლევენ ხმას, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის როგორც მაჟორიტარულ, ისე პროპორციულ არჩევნებში (ხოლო საპარლამენტო არჩევნებისას – მაჟორიტარულ არჩევნებში), თუ ისინი იმავე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრირებული, რომელშიც მოცემული სასჯელაღსრულების დაწესებულება მდებარეობს.
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხმის მიმცემ პირებსაც ჩაუტარდეთ მარკირება, რათა შემცირდეს ერთი და იმავე პირების მიერ არჩევნებში განმეორებითი მონაწილეობის რისკი.

მონიტორინგი განხორციელდა ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.